



საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიის საპროცესო კოლეგიის #099/14¹
გადაწყვეტილების მოკლე მიმოხილვა

გიორგი შალამბერიძე (სტუდენტი)

ფაქტები

საჩივრის ავტორმა ეთიკის კომისიას საჩივრით მიმართა და მოითხოვა ადვოკატ მ. ნ.-სთვის დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრება. საჩივრის ავტორის განცხადებით, ეთიკის კომისიის საქმეზე დაწერა განსხვავებული აზრი, რომელიც დაერთო გადაწყვეტილებას. ამ განსხვავებულ აზრთან დაკავშირებით ადვოკატმა მ. ნ.-მ ადვოკატთა ეთიკის კომისიის აპარატს გადასცა მისი სალანძღავი წერილი. საჩივრის ავტორის განცხადებით, თვალსაზრისის გამოხატვის უფლება ადვოკატს აქვს, თუმცა ამ თვალსაზრისმა არ უნდა გადალახოს ის ფარგლები, რაც შეურაცხყოფაში, ცილისწამებაში, პატივისა და ღირსების შელახვაში შეიძლება გადაიზარდოს. საჩივრის ავტორის განცხადებით, ადვოკატ მ. ნ. ეს ექვი შეაქვს მის მიუკერძოებლობაში, ამიტომ ადვოკატმა უნდა დაამტკიცოს მისი მიკერძოებულობა. ადვოკატმა მ. ნ.-ემ თავისი გამონათქვამებით ფაქტობრივად მას ფარულ კორუფციაში დასდო ბრალი, რაც მისთვის ღირსების შემლახველი და შეურაცხმყოფელია. ადვოკატის განმარტებით, მას საჩივრის ავტორის მიმართ არც შეურაცხმყოფელი, არც ცილისწამებლური და არც პატივისა და ღირსების შემლახველი არაფერი დაუწერია, მხოლოდ მიახვედრა საჩივრის ავტორი, რომ მისი მოსაზრებები არასწორი იყო და რომ ის მოქმედებდა პირადი დაინტრესების შედეგად ადვოკატის მიმართ. ადვოკატის განცხადებით, ის არის თავისუფალი ადამიანი და შეუძლია საკუთარი აზრის თავისუფლად გამოხატვა.

სამართლებრივი შეფასება

ეთიკის კომისიის მიერ მიერ საკუთარი კომპეტენციის ფარგლებში მოხდა წარმოდგენილი და მხარეთა მიერ დადასტურებული ადვოკატ მ. ნ. „თვალსაზრისში“ გაწერილი გამონათქვამების ანალიზი ადვოკატის პროფესიული ქცევის, ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის შესაბამისობის კონტექსტში. ა.პ.ე.კ. – ის კომპეტენციის ფარგლებში, რაც გულისხმობს ამ შემთხვევაში სიტყვობრივი ქცევის შედარებას ა.პ.ე.კ. – თან და არა სამოქალაქო სამართლის რეგულიაციებთან, რომელიც ძირითადად სასამართლო სამოქალაქო კოლეგიების/პალატების კომპეტენციაა. ეთიკის კომისიის განმარტებით, საქართველოს კანონმდებლობა არ ახდენს აზრთა დიფერენცირებას, ამიტომაც ყველაფერი, რაც წარმოადგენს შეხედულებას, ადამიანის შეფასებითი მსჯელობის შედეგს, ხდება კონსტიტუციით აღიარებული აზრის თავისუფლების დაცულ სფეროში, სახელმწიფოს, საქმის მწარმოებელ ორგანოს არ გააჩნია უფლებამოსილება დაეყოს აზრები „მართებულ“ თუ „არამართებულ“, „სასურველ“ თუ „არასასურველ“ და სხვა სახის კატეგორიებად. სიტყვები: „რატომ ამომიჩემეთ თქვენ პირადად და თქვენმა „გუნდმა“; „მოგიწოდებთ, რომ . . . მომავალში მაინც ზერელედ არ მიუდგეთ საქმის განხილვას“; „შეგნებულად ცდილობთ, რომ მცდარი პოზიცია დააფიქსიროთ“; „თქვენს მიერ მოგონილი და ალოგიკური ამბავი“; „მხოლოდ ის გამოძრავებთ, რომ იმოქმედოთ ჩემს წინააღმდეგ, მაგრამ ეს არც თქვენ და არც თქვენს გუნდს არ გამოსდის“; „თქვენ სხვა რამ გამოძრავებდათ ანუ როგორმე „დაგესაჯეთ“ ეთიკის კომისიამ მიიჩნია, რომ ადვოკატის მოსაზრებებს წარმოადგენს, რომელზეც მომჩივანმა სუბიექტური კრიტერიუმით მოახდინა შეფასება და მიიჩნია შეურაცხყოფად, რისი უფლებაც მას გააჩნია, ხოლო ამ უფლების დარღვევის ტესტი მის მიერ სასარჩელო წარმოების დაწყების შემთხვევაში მოხდება.

¹<https://gba.ge/pdf/5c4c42a5c9dc1.pdf/5c4c42a5c9dc1.pdf>

რაც შეეხება წინადადებებს: გისაყვედურებდათ იდეური „მოდვარი“ ე. გ.-ი და მისი დაჯგუფების წარმომადგენლები“; „ღრმად ვარ დარწმუნებული, რომ განსხვავებული აზრი თქვენმა იდეურმა „ლიდერმა“ ე. გ.-მა დაწერა და თქვენ მხოლოდ ხელი მოაწერეთ“; „ევროპული სასამართლოს პრეცედენტულ პრაქტიკას ისე იცნობთ, როგორც მე ვიცი ჩინური“; „ვერც თქვენ და ვერც თქვენი იდეური თანამებრძოლები ვერაფერს დამაკლებთ“ — ეთიკის კომიის განმარტებით, ისინი არ წარმოადგენენ უხამს ან ისეთ „ენას“, რომლის გამოც შეიძლება ვარაუდის სახით მივიჩნიოთ ადვოკატის ქცევა არაეთიკურად და დისციპლინური წარმოების დაწყების შემთხვევაში არსებობდეს ალბათობის მაღალი ხარისხი, რომ ადვოკატს შეეზღუდოს „მსგავსი ხელწერით“ საუბარი. დისციპლინურ კოლეგიას მიაჩნია, რომ კონკრეტულ შემთხვევაში რა სიტყვები და წინადადებები უნდა გამოიყენოს ადვოკატმა მ. ნ.-ემ საამისო კონკრეტული რაიმე სახის „რეცეპტი“ არ არსებობს.

დასკვნა

ეთიკის კომიის გადაწყვეტილებით, დისციპლინურ საქმეზე დევნა არ აღიძრა.